

ქვიზი 4. ქიმიური რეაქციის სიჩქარე

გვარი-----ჯგუფი-----თარიღი-----

1. ქიმიური რეაქციის სიჩქარის განზომილებაა

- ა. მოლი / ლ
- ბ. მოლი / ლ•წმ
- გ. ლ / წმ
- დ. მოლი / წმ

2. მორეაგირე ნივთიერებათა კონცენტრაციის ცვლილებას დროის გარკვეულ შუალედში ეწოდება:

- ა. დისოციაცია
- ბ. ქიმიური რეაქციის წონასწორობა
- გ. ქიმიური რეაქციის სიჩქარე
- დ. ნეიტრალიზაცია

3. რომელ კანონზეა საუბარი: ქიმიური რეაქციის სიჩქარე მორეაგირე ნივთიერებათა მოლური კონცენტრაციების პირდაპირპროპორციულია:

- ა. ავოგადროს კანონი
- ბ. მოქმედ მასათა კანონი
- გ. ვანტ-ჰოფის კანონი
- დ. ფარადეის კანონი

4. რომელ კანონზეა (წესზე) საუბარი: ტემპერატურის ყოველი 10°C -ით მომატებისას რეაქციის სიჩქარე 2-4 -ჯერ იცვლება.

- ა. ავოგადროს კანონი
- ბ. მოქმედ მასათა კანონი
- გ. ვანტ-ჰოფის კანონი
- დ. ფარადეის კანონი

5. ნივთიერებას, რომელიც ცვლის ქიმიური რეაქციის სიჩქარეს, თვითონ არ იხარჯება და რეაქციის შედეგად უცვლელი რჩება ეწოდება:

- ა. ინჰიბიტორი
- ბ. სითბური ეფექტი
- გ. კატალიზატორი
- დ. იზოტოპი

6. რეაქციისათვის: $\text{C}_{(\text{გ.})} + \text{O}_2 = \text{CO}_2$

გამოსახეთ სიჩქარის დამოკიდებულება კონცენტრაციაზე (მოქმედ მასათა კანონი):

- ა. $v = k [\text{O}_2][\text{CO}_2]$
- ბ. $v = k [\text{O}_2]$
- გ. $v = k [\text{CO}_2]$
- დ. $v = k [\text{O}_2][\text{CO}]$

7. რეაქციისათვის: $N_2 + 3H_2 \leftrightarrow 2NH_3$ სიჩქარის დამოკიდებულება კონცენტრაციაზე (მოქმედ მასათა კანონი) ჩაიწერება:

- ა. $v = k [N_2][H_2]$
- ბ. $v = k [N_2][H_2]^3$
- გ. $v = k [NH_3]$
- დ. $v = k [N_2][NH_3]$

8. რამდენჯერ გაიზრდება რეაქციის სიჩქარე, თუ ტემპერატურული კოეფიციენტი - $\gamma=3$, ხოლო $t_2=60^\circ C$, $t_1=30^\circ C$.

- ა. 3-ჯერ
- ბ. 9-ჯერ
- გ. 27-ჯერ
- დ. 81-ჯერ

9. რას უდრის ტემპერატურული კოეფიციენტი (γ), თუ $40^\circ C$ და $60^\circ C$ ტემპერატურაზე რეაქციის სიჩქარეები, შესაბამისად ტოლია $0,009$ მოლი/ლ და $0,001$ მოლი/ლ.

- ა. 1
- ბ. 2
- გ. 3
- დ. 4

10. როგორ შეიცვლება $2SO_2 + O_2 \rightarrow 2SO_3$ ქიმიური რეაქციის სიჩქარე, თუ სისტემის წნევა 3-ჯერ გაიზარდა?

- ა. 14
- ბ. 27
- გ. 33
- დ. 47

11. რეაქციისათვის: $2SO_2 + O_2 \rightarrow 2SO_3$ სიჩქარის დამოკიდებულება კონცენტრაციაზე (მოქმედ მასათა კანონი) ჩაიწერება:

- ა. $v = k [SO_2]^2 [O_2]$
- ბ. $v = k [SO_2] [O_2]^2$
- გ. $v = k [SO_2]^3 [O_2]$
- დ. $v = k [SO_2] [O_2]$

12. რამდენჯერ გაიზრდება ქიმიური რეაქციის $N_2 + 3H_2 \leftrightarrow 2NH_3$ სიჩქარე, თუ სისტემის წნევას გავზრდით 2-ჯერ?

- ა. 16
- ბ. 27
- გ. 33
- დ. 47

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
ბ	ბ	ბ	ბ	ბ	ბ	ბ	ბ	ბ	ბ	ს	ს

/

ბუღალტრული აღრიცხვა 2020